ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქი ქუთაისი ___ აგვისტო 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 121-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის --- აგვისტოს ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №2ა-ს (აბანოს სახლი) ჩრდილოეთით მდებარე ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (საკადასტრო კოდი №03.01.24.107; ფართობი - 211 კვ.მ) გასხვისების თაობაზე.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N2ა-ს (აბანოს სახლი) ჩრდილოეთით მდებარე უძრავი ქონება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია ავტოსადგომის ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა შპს „პარკინგსერვისს" (06.10.2015წ. N28 ხელშეკრულება). შპს-ს ფუნქციონირების შედეგად აღმოჩნდა, რომ სარგებლობაში გადაცემულ ზოგიერთ ლოკაციაზე არ ხდებოდა ავტომობილების პარკირება. შპს „პარკინგსერვისმა" მოითხოვა სარგებლობაში გადაცემული რამდენიმე ქონების უკან დაბრუნება, მათ შორის ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N2ა-ს (აბანოს სახლი) ჩრდილოეთით მდებარე უძრავი ქონებისა (ს/კ N03.01.24.107). მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული იქნა შესაბამისი ღონისძიებები და უძრავ ქონებაზე გაუქმდა სარგებლობის უფლება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვა-გასხვისება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის 121-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, განიხილოს წარმოდგენილი პროექტი, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ N03.01.24.107 (ფართობი - 211 კვ.მ) საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში მოხდება დამატებით შემოსავლების მობილიზება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი